განმარტებითი ბარათი

„2015 წლის „ზეთისხილის ზეთისა და სუფრის ზეთისხილის შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმების 36-ე მუხლის ცვლილების თაობაზე“ ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს წევრთა საბჭოს 2024 წლის 25 ივნისის №DEC-I 1/119-VI/2024 გადაწყვეტილების“ შესახებ

ზოგადი ინფორმაცია

2015 წლის „ზეთისხილის ზეთისა და სუფრის ზეთისხილის შესახებ“ საერთაშორისო შეთანხმება (შემდგომში „შეთანხმება“) შემუშავდა და ძალაში შევიდა 2015 წლის ოქტომბერში. (საქართველო შეთანხმებას შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 1-ელი ნოემბრის №5281-Iს დადგენილებით). აღნიშნული შეთანხმება წარმოადგენს ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს (IOC) ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძველს. ზეთისხილის საერთაშორისო საბჭო დაფუძნდა 1959 წელს ესპანეთის სამეფოს ქ. მადრიდში. აღნიშნული საბჭო არის საერთაშორისო ორგანიზაცია. აღნიშნული ორგანიზაციის წევრობა ხელს უწყობს საქართველოსა და ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, ზეთისხილით წარმოებული პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვას და ზეთისხილის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას.

ზეთისხილის კულტურა საქართველოში

საქართველოში ზეთისხილი ახალი კულტურაა და მნიშვნელოვანია, მოხდეს მისი პოპულარიზაცია, რადგან ძალიან მოთხოვნადია პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში. ქართული ზეთისხილის პროდუქცია ადგილობრივ ბაზარზე პოპულარობით სარგებლობს. კახეთში ეს დარგი აქტიურად ვითარდება და დაახლოებით 4000 ჰა-ზე ზეთისხილის ბაღებში უკვე მოსავალია. საქართველოს მრავალწლიანი კულტურების გაშენების დიდი პოტენციალი გააჩნია. სწორედ ამიტომ, სახელმწიფო პროგრამას „დანერგე მომავალი“ ახორციელებს. ასეთი პროგრამები ხელს უწყობს საქართველოში ახალი მრავალწლიანი კულტურების გაშენებას, მეხილეობის დარგის განვითარებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

შეთანხმებასთან საქართველოს შეერთება ხელს უწყობს:

- ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განვითარებას, ზეთისხილით წარმოებული პროდუქტების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვას და ზეთისხილის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, ზეთისხილის სექტორში ტექნიკურ თანამშრომლობასა და სამეცნიერო კვლევასა და განვითარებას.
- ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დაახლოებას, რომელიც შეეხება ზეთისხილის ზეთების, ზეთისხილის ნაწნეხისგან მიღებული

ზეთებისა და სუფრის ზეთისხილის ფიზიკურ-ქიმიურ და ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს, ვაჭრობისთვის ნებისმიერი დაბრკოლების აღმოფხვრის მიზნით;

- ზეთისხილის კულტურების სამეცნიერო კვლევით შესწავლას და შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას ზეთისხილის ხეების გენეტიკური წყაროების იდენტიფიცირების, შენარჩუნებისა და გამოყენების მიზნით;

გაწევრიანების მიზეზები:

- ზეთისხილის პლანტაციების გაშენება ხდება ისეთ ნიადაგებზე, რომელიც სხვა არცერთი კულტურისთვის არ არის ვარგისი;
- კახეთის რეგიონში არსებული მიწები, რომლებიც გამოუსადეგარია სხვა კულტურებისთვის სრულად არის/იქნება ათვისებული ზეთისხილისთვის;
- ზეთისხილი არის ნიადაგის აღმდგენი თვისებების მატარებელი მცენარე. შესაბამისად, ჩვენი დეგრადირებული ნიადაგისთვის ზეთისხილის ბაღების გაშენება საუკეთესო გამოსავალია მიწების აღდგენისთვის;
- ამ დროისთვის საქართველოში წარმოებული ზეთისხილი უკვე გადის ექსპორტზე;
- მნიშვნელოვანი ფაქტორია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება, ასევე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რომელიც გვაძლევს საშუალებას მოვახდინოთ საქართველოში წარმოებული პროდუქციის ექსპორტზე გატანა თავისუფალ რეჟიმში.
- უკვე არსებული პლანტაციების შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება და ახალ პლანტაციებზე ორიენტირის გაკეთება;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს პროექტს „დანერგე მომავლი", რომლის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ზეთისხილის კულტურის გაშენების მხარდაჭერა.

მიღებული შედეგები

ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს წევრობა საქართველოს ზეთისხილის სექტორისათვის მომგებიანია როგორც საერთაშორისო ასპარეზზე მწარმოებელი ქვეყნის წარმოჩენისათვის, ასევე საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის განვითარებისა და საერთაშორისო პრაქტიკის, ტექნოლოგიის და სწორი მენეჯმენტის ნაწილში.

2021 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ზეთისხილის მწარმოებელთა ასოციაციის ორგანიზებით საქართველოს ეწვივნენ ზეთისხილის მწარმოებელი ქვეყნების სამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლები და ექსპერტები, რამაც კიდევ მეტად შეუწყო ხელი ქვეყნის პოპულარიზაციას ზეთისხილის დარგში და სექტორში ინვესტორთა ინტერესის ზრდას. საქართველოში, როგორც საბჭოს წევრ ქვეყანაში, დარგის წარმომადგენლები და ფერმერები მუდმივად იღებენ კონსულტაციებს, ტექნიკურ და ინფორმაციულ დახმარებას კონსულტანტების ვიზიტის,

სხვადასხვა სასწავლო და ტრენინგ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის სახით, რომლის ერთ-ერთი მაგალითია, ესპანეთში ზეთისხილის ზეთის დეგუსტაციის 3-თვიან კურსზე საქართველოდან წარმომადგენლის დასწრება, რომელმაც მიიღო საერთაშორისო ექსპერტის კვალიფიკაცია, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს ქვეყანაში უმაღლესი ხარისხის ზეთის წარმოების განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველ წელს მუდმივად ხდება ექსპერტებისა და კონსულტანტების ვიზიტები სხვადასხვა ფერმერების კუთვნილ ზეთისხილის ბაღებში და მუდმივად ახლდება ინფორმაცია თანამედროვე მეურნეობების გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე, რაც მნიშვნელოვანია როგორც ქვეყანაში დარგის განვითარების, ისე ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობისთვის, რათა დაგროვდეს მაქსიმალურად განახლებადი და თანამედროვე ცოდნა, გამოცდილება და ტექნოლოგიები. მნიშვნელოვანია, რომ ზეთისხილის წამყვან ქვეყნებში გავრცელებულია ზეთისხილის ისეთი დაავადებები, როგორიცაა "Xylella fastidiosa" – ე.წ. ზეთისხილის კიბო, რომელიც მარტივად ვრცელდება და მისი მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს ექსპერტების დახმარებით. ზეთისხილის, ზეთის, ფოთლის, ნიადაგის ანალიზები - მუდმივად ხორციელდება IOC-ის მიერ აკრედიტებულ ლაბორატორიებში და სადეგუსტაციო პანელებზე, რაშიც სწორი შედეგების მისაღებად საბჭოს როლი უდავოა.

ამასთან ერთად, 2023 წლიდან სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით და საბჭოს ექსპერტების ჩართულობით, მიმდინარეობს პროექტი „Frost Resistant Cultivars", რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მიზნად ისახავს საქართველოს კლიმატთან თავსებადი ზეთისხილის ჯიშების იდენტფიცირებას სახეობების მიხედვით ქვეყნის კლიმატურ პირობებში. გარდა ამისა, 10 სახეობის ზეთისხილის ნიმუში გადაეცა სამეცნიერო კვლევით ცენტრს შემდგომი დაკვირვებისათვის.

ზეთისხილის კულტურის სამომავლო პერსპექტივისათვის, მნიშვნელოვანი ასპექტია საერთაშორისო ბაზრებსა და გლობალურ ბაზრებზე საბჭოს როლი, რადგან იგი ასრულებს როგორც ბაზარზე შესვლის ერთგვარ ბერკეტს, ამასთან ამარტივებს სხვადასხვა ბაზრებზე შესვლასა და აკრედიტაციას.

ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, წელიწადში ორჯერ, ესწრებიან ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს გენერალურ სესიას და შესაბამისი კომიტეტის სხდომებს, სადაც მიმდინარეობს ზეთისხილის ზეთისა და სუფრის ზეთისხილის თაობაზე წევრ ქვეყნებს შორის ინფორმაციის გაცვლა როგორც ვაჭრობის, ისე სხვადასხვა სექტორული მიმართულებით.

ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს წევრთა საბჭომ 2024 წლის 24 ივნისის, 119-ე სესიაზე დაამტკიცა №DEC-I 1/119-VI/2024 გადაწყვეტილება, (დოკუმენტი გაფორმდა 2024 წლის 25 ივნისს) რომელიც ითვალისწინებს შეთანხმების 36-ე მუხლის ცვლილებას, კერძოდ, შესაძლებელი ხდება შეთანხმების მოქმედების ვადის გახანგრძლივება მომდევნო პერიოდებით წევრთა საბჭოს მიერ, რომელიც თითოეული პერიოდისათვის არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს. 36-ე მუხლის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, შეთანხმება ძალაში რჩება 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

გადაწყვეტილებასთან საქართველოს შეერთება არ გამოიწვევს მოქმედ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებს და ასევე, გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში.

ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოში გაწევრიანებისთვის ყოველწლიური ფინანსური შენატანი, რომელიც შეთანხმების 29-ე მუხლის შესაბამისად არის განსაზღვრული, გათვალისწინებული იქნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტში. 2026 წელს გადახდილ იქნა **28,416 ევრო.**

გადაწყვეტილების წარმდგენია საქართველოს მთავრობა. გადაწყვეტილების ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.